საცალო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება
(მიერთების ხელშეკრულება)

დამტკიცებულია შპს „ორიფლეიმ ჯორჯიას“
გენერალური დირექტორის
ნანა ელიავას მიერ

ქ.თბილისი 01.11.2017

წინამდებარე ხელშეკრულებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ორიფლეიმ ჯორჯია“, შემდგომში „გამყიდველი“, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, ლევან ბოკუჩავას სახით, მოქმედი წესდების საფუძველზე, იღებს ვალდებულებას, გამყიდველის კატალოგში მითითებული საქონელი მიყიდოს ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელიც მიიღებს სარეგისტრაციო ნომერს და უპირობოდ შეუერთდება წინამდებარე ხელშეკრულებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 343-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 1. ტერმინები და განსაზღვრებები:

<u>გამყიდველი</u> - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ორიფლეიმ ჯორჯია“, რეგისტრირებული და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სარეგისტრაციო ნომერი 202166459, იურიდიული და ფიზიკური მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის გამზ №61.

<u>მიერთების ხელშეკრულება</u> - საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 343-ე მუხლის თანახმად, ასეთად მიიჩნევა ხელშეკრულება, რომლის პირობებსაც, ერთი მხარე ფორმულარებითა თუ სხვა სტანდარტული ფორმებით განსაზღვრავს და რომელთა მიღებაც, მეორე მხარეს მხოლოდ და მხოლოდ მთელ შემოთავაზებულ ხელშეკრულებაზე მიერთების გზით შეუძლია.

<u>ხელშეკრულება</u> - წინამდებარე საცალო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, ზოგად დებულებებთან და პირობებთან, ეთიკის კოდექსთან და პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკასთან ერთად, რომლებიც ქმნიან მყიდველსა და გამყიდველს შორის ურთიერთობების საფუძველს და განსაზღვრავენ მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებს

<u>რეგისტრაცია</u> - მყიდველის შესახებ გამყიდველის საინფორმაციო ბაზაში ინფორმაციის შეტანა და მისთვის სარეგისტრაციო ნომრის მინიჭება მყიდველის ინფორმირების მიზნით, ახალი პროდუქციის, მიმდინარე აქციების, ფასდაკლების და ა.შ. შესახებ,

<u>ზედდნადები</u> - ანგარიში/ზედნადები ან ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომლის შესაბამისადაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს და რომელშიც მითითებულია: გადასაცემი საქონელის ჩამონათვალი, გადაცემის თარიღი, პროდუქციის საერთო ღირებულება ლარებში, მყიდველის ნომერი, რომელიც მას კონსულტანტის რანგში რეგისტრაციისას მიენიჭა (სარეგისტრაციო ნომერი) და სხვა აუცილებელი რეკვიზიტები.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი.

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, გამყიდველი ვალდებულია მყიდველის შეკვეთის საფუძველზე, არსებული ასორტიმენტის შესაბამისად, მიყიდოს მას ორიფლეიმის პროდუქცია (შემდგომში „საქონელი “), რომელიც განკუთვნილია პირადი, საოჯახო, შინა ან ანალოგიური მოხმარებისათვის, ხოლო მყიდველი ვალდებულია, მიიღოს შეკვეთილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

მუხლი 3. საქონლის გაყიდვის წესი. სახელშეკრულებო ფასი და გადახდის წესი. მხარეთა ვალდებულებები.

3.1. შეკვეთის გაფორმების, გადახდის, აგრეთვე შეკვეთაზე უარის თქმის, ან პროდუქციის დაბრუნების წესები განისაზღვრება საერთო პირობებით.

3.2. პროდუქტის ფასი დაფიქსირებულია გამყიდველის მიერ და მოცემულია პრეისკურანტში (ფასების ფურცელში, ეწ. „პრაის-ლისტში“), რომელიც, მოქმედია იმ კატალოგისთვის, საიდანაც ხორციელდება შეკვეთის გაფორმება. ფასების ფორმირების წესი მოცემულია ზოგადო დებულებებისა და პირობების 4 ბ პუნქტში.

3.3. გამყიდველს უფლება აქვს, პროდუქტის შეძენისას, მყიდველს მისცეს ფასდაკლება. ფასდაკლება ფორმირდება ფასდაკლების შესახებ შიდა დებულებით

3.4. გამყიდველს უფლება აქვს, პროდუქციის შეძენისას, მყიდველს მისცეს საშუალება ისარგებლოს გადახდის გადავადებით (კრედიტით). ასეთ შემთხვევაში, მყიდველი, პროდუქციის ღირებულებას იხდის ზედნადებში მითითებულ ვადებში. ზედნადების თარიღი (თუ ზედნადებით სხვა ვადა არა არის განსაზღვრული) არის საქონლის ღირებულების გადახდის ვალდებულების წარმოქმნის თარიღი.

პროდუქციის კრედიტით გაცემის წესები დგინდება გამყიდველის მიერ. გამყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეცვალოს პროდუქციის კრედიტით გაცემის პირობები, რის შესახებაც გამყიდველს ეუწყება ინფორმაციით, რომელიც განთავსდება გამყიდველის ტერიტორიული ადგილმდებარეობის მიხედვით, ან მიეწოდება ნებისმიერი ხელმისაწვდომი საინფორმაციო საშუალებით: ელ-ფოსტით, მოკლე ტექსტური შეტყობინებით (სმს-ით) ან შესაბამისი ინფორმაციის განთავსების გზით გამყიდველის საიტზე www.oriflame.ge (კონსულტანტებისთვის განკუთვნილ განყოფილებაში) და ა.შ. გამყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება და უარი უთხრას მყიდველს პროდუქციის კრედიტით მიყიდვის შესახებ.

3.5.გამყიდველი, მყიდველს, გაწეული მომსახურებისათვის, არიცხავს მომსახურების საფასურს, რომლის ოდენობასაც განსაზღვრავს გამყიდველი. მომსახურების საფასურის ოდენობა დამოკიდებულია შეკვეთის საერთო ღირებულებზე.

3.6. გამყიდველი, მყიდველს, ინფორმაციას გასაყიდი პროდუქციის ასორტიმენტის შესახებ, აწვდის სავაჭრო პროდუქციის კატალოგების, ბროშურების, ფლაერების, ბუკლეტების გავრცელებით ან სხვა მსგავსი საშუალებებით. გავრცელების წესს და რეგულარურობას განსაზღვრავს გამყიდველი. ამ პუნქტის შესაბამისად, მყიდველის ინფორმირებისათვის გამოყენებული, კატალოგების, ბროშურების და ფლაერების ღირებულება შედის საქონლის საპრეისკურანტო ფასში და ამ შემთხვევაში, მყიდველი. ინფორმაციის მიწოდებისათვის არ იხდის დამატებით გადასახადებს.

3.7. იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი დადგენილ დროში არ გადაიხდის შეძენილი საქონლის ღირებულებას, გამყიდველს უფლება აქვს, მყიდველის თანხმობის გარეშე, მოთხოვნა მყიდველის ვალზე, გადასცეს ან დაუთმოს სხვა პირს.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. მხარეები, საკუთარ თავზე იღებენ პასუხისმგებლობას, წინამდებარე ხელშეკრულებით, აგრეთვე, ზოგადი პირობებით (მუხლი 6 - კონსულტანტის ვალდებულებები, მუხლი 7 - კომპანიის ვალდებულებები) გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. მყიდველი, აგრეთვე პასუხისმგებელია, ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული კონსულტანტის ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების გამო. რომელიმე მხარის მიერ, წინამდებარე ხელშეკრულების ვალდებულებების, შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების გამო, მეორე მხარისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში, ბრალეული მხარე ვალდებულია, მის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით ან არასათანადოდ შესრულებით მიყენებული ზიანი, აუნაზღაუროს დაზარალებულ მხარეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. არაპირდაპირი ზარალი ან მოსალოდნელი მოგება ანაზღაურებას არ ექვემდებარება.

4.2. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მყიდველი, გამყიდველს გადაუხდის პირგასამტეხლოს, გამყიდველის მიერ დადგენილი ოდენობით. პირგასამტეხლოს გაანგარიშების პრინციპს განსაზღვრავს გამყიდველი და იგი მითითება ზედნადებში, ან საქონლის გადაცემის შესაბამის სხვა დოკუმენტში.

5. ხელშეკრულების სხვა პირობები

5.1. წინამდებარე ხელშეკრულება, გამყიდველისთვის ძალაში შედის მისი დამტკიცების თარიღიდან, ხოლო მყიდველისთვის ძალაში შედის მყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების უპირობოდ მიღებისას. წინამდებარე ხელშეკრულების უპირობოდ მიღებად ითვლება - პირველი ზედნადების ხელმოწერა პირადად მყიდველის მიერ, ან მინდობილობის საფუძველზე, მისი სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ. ხელშეკრულების მიღების, დადგენილი წესისგან დამოუკიდებლად, გამყიდველი მყიდველისგან მიიღებს ნებისმიერ პრეტენზიას იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი წარმოადგენს მის მიერ ხელმოწერილ, შესყიდული პროდუქციის (გამყიდველის შიდა მოხმარების) ზედნადებს (პროდუქციის გაცემის უწყისს), ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში - მყიდველის მიერ ხელმოწერილ, წინამდებარე ხელშეკრულების ეგზემპლარს. ხელშეკრულება იდება განუსაზღვრელი ვადით და იგი შეიძლება ცალმხრივად გაუქმდეს რომელიმე მხარის მიერ, მეორე მხარისთვის, გაუქმებამდე 5 (ხუთი) დღით ადრე შეტყობინების გაგზავნის გზით.

5.2. გამყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობები. შეცვლილი ხელშეკრულება, მყიდველს მიეწოდება ნებისმიერი შესაძლო საშუალებით: ელ. ფოსტით, მოკლე ტექსტური შეტყობინებით (სმს), შესაბამისი ინფორმაციის განთავსებით გამყიდველის საიტზე www.oriflame.ge კონსულტანტებისთვის განკუთვნის განყოფილებაში და ა.შ. შეტყობინების ასეთი ფორმა მიიჩნევა სათანადოდ და იგი ითვლება მიღებულად, მიუხედავად იმისა, გაეცნო თუ არა მყიდველი ამ ინფორმაციას. ხელშეკრულების ახალი რედაქცია, ძალაში შედის საიტზე გამოქვეყნებისთანავე. იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი არ ეთანხმება ხელშეკრულების შეცვლილ პირობებს, იგი უფლებამოსილია დაუყოვნებლივ, ცალმხრივად გააუქმოს წინამდებარე ხელშეკრულება, გამყიდველისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

5.3. იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი საქონლის ბოლო შეძენის თარიღიდან ერთი წლის განმავლობაში არ

განახორციელებს არც ერთ შესყიდვას, წინამდებარე ხელშეკრულება ძალადაკარგულად ითვლება. აღნიშნული დებულება, მყიდველს არ ართმევს უფლებას, მიმართოს გამყიდველს, შემდგომში ახალი ხელშეკრულების გაფორმებისათვის.

5.4. მყიდველი, უერთდება რა წინამდებარე ხელშეკრულებას, გამყიდველს აძლევს, მყიდველის პირადი მონაცემების გამოყენებისა და მათი დამუშავების მიზნით, მესამე მხარისათვის გადაცემის უფლებას, კონფიდენციალობის დაცვის უზრუნველყოფის პირობით, რაც განსაზღვრულია საქართველო კანონმდებლობით. პირადი მონაცემების ასეთი გამოყენება და/ან გადაცემა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ და მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულების მიზნებისათვის, იმ წესით და იმ პირობების დაცვით, რომლებიც აღწერილია პერსონალ მონაცემთა დაცვის პოლიტიკაში. ამასთანავე, მყიდველის მიერ განხორციელებული ქმედებები, რომლებიც ადასტურებს მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მიღებას, ხელშეკრულების 5,1 პუნქტის თანახმად, მხარეების მიერ განიხილება როგორც მყიდველის წერილობითი თანხმობა მისი პირადი ინფომაციის გამოყენებასა და გადაცემაზე. მყიდველის პირადი მონაცემების მესამე მხარისთვის გადაცემისას, წინამდებარე პუნქტში აღნიშნული მიზნებისთვის, გამყიდველი გარანტიას იძლევა, რომ მიწოდებული მონაცემები მესამე მხარეების მიერ გამოიყენება მხოლოდ ხელშეკრულების პირობების შესასრულებლად და მასში განსაზღვრული მიზნებისათვის. გამყიდველი აგრეთვე, იძლევა გარანტიას, რომ მესამე პირებისათვის, დამუშავების მიზნით გადაცემული პირადი ინფორმაცია, სათანადოდო იქნება დაცული მესამე პირების მხრიდან მათზე არასანქცირებული წვდომისგან.

5.5. მყიდველი, უერთდება რა წინამდებარე ხელშეკრულებას და იღებს მის პირობებს, თანახმაა გამყიდველისგან მიიღოს ინფორმაცია (მ.შ. სარეკლამო) ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის ელექტრო კომუნიკაციის ქსელებით. კერძოდ: სატელეფონო, ფაქსით, რადიოტელეფონით, აგრეთვე ინტერნეტით.

5.6. წინამდებარე ხელშეკრულება არ ითვალისწინებს მხარეებს შორის წარმოქმნილი დავების სავალდებულო წინა სასამართლო (პ რ ე ტ ე ნ ზ ი ი თ) გ ა ნ ხ ი ლ ვ ი ს პ რ ო ც ე დ ურ ა ს . მხარეებს შორის უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში, დავა შეძლებისდაგვარად გადაწყდება მოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები, მოლაპარაკებების დაწყებიდან ერთი თვის ვადაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო სისტემაში, გამყიდველის ადგილმდებარეობის მიხედვით.

5.7. ყველა ვალდებულებას, რაც დაკავშირებულია ხარჯებთან, რისკებთან, გადასახადების გადახდასთან და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ყველა სხვა მოვალეობების დაცვასთან, მყიდველი ასრულებს დამოუკიდებლად (თავად).

5.8. მხარეთა შორის ყველა სხვა ურთიერთობა რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანომდებლობით. წინამდებარე ხელშეკრულების, ზოგად პირობებთან , პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკასა და ეთიკის კოდექსთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში, უპირატესი ძალა გააჩნია წინამდებარე ხელშეკრულებას. წინამდებარე ხელშეკრულების, ზოგადი პირობების, პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის და ეთიკის კოდექსის ცალკეული დებულებების ბათილობა, რაც შესაძლოა გამოწვეული იქნას საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამობით, არ იწვევს სხვა დებულებების ბათილობას.

მუხლი 6. გამყიდველის რეკვიზიტები:

შპს „ორიფლეიმ ჯორჯია“

იურიდიული და საფოსტო მისამართი: 0102 ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. 61

ს.ნ.: 202166459;

ტელ, +995 32 2 911064

ფაქსი: +995 32 911068

ელ. ფოსტა:info@oriflame.ge